# მამულიშვილი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანო.

რედაქტორი რ. გაბაშვილი. Rédacteur en chef : R. GABACHVILI.

№ 5.
1928 წ. იანვარი.
პარიზი.

Le «PATRIOTE»
№ 5.
1927 — JANVIER.
PARIS.

## ყალბი ნიადაგი.

—

მას შემდეგ რაც ძველი საბერძნეთის არეოპაგმა ფრინე გაამართლა (და იმის წინადაც, ალბად)—სამშობლო თების გალავანის აღდგენისათვის საკუთარ სხეულით ვაჭრობაში (თუმცა ლეგენდით—აპატია სილამაზისათვის), ბევრი ისტორიული ფაქტი მოწმობს, რომ მაღალი მიზნის მისაღწევად ადამიანებს მიუმართავთ დაბალი საშუალებისათვის. საშუალო საუკუნოებში მთელი მოძღვრებაც შექმნა ინკვიზიციამ და მაკიაველიმ წიგნი დასწერა «ილ პრინჩიპე»—ალექსანდრე და ცეზარ ბორჯიების პოლიტიკის სადიდებლად: «მიზანი ამართლებს საშუალებასაო». მაგრამ კაცობრიობა წინ წავიდა პროგრესის გზაზედ და ეხლა ახდილად არავინ იცავს ასეთ თეორიებს, გარდა ბოლშევიკებისა, რომელნიც პოლიტიკურად, ზნეობრივად და სოციალურად ბარბაროსობამდე ჩამოქვეითდნენ და ძველი ტირანიები ტკბილმოსაგონებელ სიზმრებად აქციეს. დღეს კაცობრიობა იმდენად ამაღლდა რომ საჯაროდ მაინცა ჰგმობს ყოველგვარ უზნეო მოქმედებას, ომის დროსაც კი (თუმცა ფარულად ხშირია კიდევ მაკიაველისტური მოქმედებანი). ჰააგის ტრიბუნალი, ერთა ლიგა, მთავრობათა განცხადებანი; მეცნიერების, ფილოსოფოსების და მწერლების გამოსვლანი—მთელი ოფიციალური და მოწინავე საზოგადოება სიმართლისა და სამართლიანობის მღაღადებელნი არიან.

მაგრამ რაკი არსებობს ფარული დიპლომატია, ფარული უზნეო ზრახვანი და ფარული უზნეო მოქმედებაც, ომისა და რევოლიუციების ფსიქოლოგიურ გარყვნილების გავლენით, კვლავ ხშირად ხდება სადაო საკითხი ცალკე პირების გონებისა და ზნეობისთვის: დასაშვებია თუ არა ყველანაირი საშუალება პოლიტიკური მიზნის მისაღწევად?

კაცის მოკვლა და ტერორი, ქურდობა და ცარცვა, პროვოკაცია და საკუთარი სხეულით ვაჭრობა, მოტყუება და ძალის ხმარება—ყველა ეს «კლასიკური» ხელობანი, ინდივიდუალურ ზნეობისათვის მიუღებელნი და დაგმობილნი,—კანონით, რელიგიით, საზოგადოებრივი აზრით—იღებენ ერთგვარ კურთხევას, როცა მასიურნი ხდებიან—ომისა და რევოლიუციების დროს. მაგრამ არასოდეს არც გონება და არც სინიდისი ამას არ ურიგდება და სასამართლო არ გაამართლებს.

დიდი ომის წინა დროში რუსეთის პოლიტიკური ემიგრაცია და მისი პრესსა ხშირად კამათობდა ამ საგანზედ და მარტო ეხლანდელი ბოლშევიკების ხელმძღვანელები და ანარქისტები ამართლებდნენ თეორიულად და მიმართავდნენ პრაქტიკულად ასეთ საშუალებათ. «ექსპროპრიაცია», «ცოლის შერთვა», ყალბი ფულის მოჭრა, შანტაჟი—აი მათი ამუნიცია, რომლითაც ისინი ხშირად რყვნიდნენ და უმგვან საქმეებში ითრევდნენ რევოლიუციონური პარტიების ბევრ ცალკე ჯგუფებს და ადეპტებს, მაგრამ არასოდეს—ევოლიუციისა და პროგრესის ხალხი, წესიერების და სახელმწიფოებრივობის დამცველნი არ ჩაჰყოლიან ასეთ გამრყვნელ გავლენას. 1905 წლის რევოლიუციის პრაქტიკამ, ასეთი მეთოდების გამრყვნელი და დეზორგანიზატორული შედეგები მეტად თვალსაჩინო გახადა კერძოდ საქართველოს სარევოლიუციო პარტიებისათვისაც და საბოლოოდ დაგმობილ იქმნა.

რუსეთის რევოლიუციამ, და მეტადრე ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, კვლავ გააბატონა ეს ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი დამდაბლება და ბევრ მერყევ ელემენტებს გაუღვიძა ატავისტური სურვილი ყველანაირი საშუალებისათვის მიმართვისა, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, საქართველოში არც ერთ მებრძოლ ჯგუფს, ან პოლიტიკურ პარტიას და არც მით უმეტეს პარტიათა შეერთებულ ფრონტს არასოდეს დასაშვებად არ მიუჩნევია უზნეო საშუალებათა გამოყენება.

პირიქით, სწორედ იმითაა მაღალი ჩვენი ეროვნული ბრძოლა, რომ ველურ რუსების სიმხეცეს, უზნეობასა და პროვოკაციას, საშუალებათა განურჩევლობას—წინ დახვდა რაინდობა, უანგარო მახვერპლად გაღება სიცოცხლისა, ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის წმინდა ხელებით და წმინდა სისხლით. აი რა დარჩება ხალხს და ისტორიას სახსოვრად და სადიდებლად, ახალგაზრდობას აღსაზრდელად. და არა ის რომ ამ უთანასწორო ტიტანიურ ბრძოლაში გამოერია თითოროლა გამცემი, მცარცველი ან ყალბი ფულის მომჭრელი, რომელნიც ეტმასნებიან ამ დიად ბრძოლას.

ჩვენ მივმართავთ გაფრთხილებით მეტადრე ახალგაზრდობას, რომელიც თავის დაუდუღებლობაში შეიძლება ავაზაკთა და გარემოებათა გავლენით, გამოუცდელობით გაებას ასეთ მახინაციებში და მიიჩნიოს მამულიშვილურ საქმედ.

ჩვენ არ ვიცნობთ ვინ არის სადათირაშვილი, რით ხელმძღვანელობდა ის თავის «ყალბი ჩერვონეცების» ავანტიურაში—არის ის უბრალო პროვოკატორი, ავაზაკი თუ შეცდომაში შეყვანილი უფრო გამოცდილ ავაზაკებისაგან, მაგრამ ის კი ვიცით რომ მტკნარი სიცრუე და სიყალბეა, ვითომ ის მოქმედებდეს რომელიმე ეროვნული, პატარა თუ დიდი ორგანიზაციის დავალებით. ეს ისეთივე სიყალბეა, როგორც მისი მოჭრილი ჩერვონეცები. ცოდვის შესამსუბუქებლად ქართველი კაცი ხშირად ამბობს: «კაცი შემომაკვდაო, ქალი შემომელანძღაო, ფული შემომეხარჯაო»; და იურიდიულად თუ ვერ გამართლდება, ფსიქოლოგიურად მოსაჩვენებელი შესაძლებლობა მაინცა რჩება, მაშინ როდესაც «ფული შემომეყალბაო» ფსიქოლოგიურ შემსუბუქებასაც და განმარტების ძალასაც მოკლებულია. ეს ნაღდი ავაზაკობაა და არავითარი მორალური, მაღალი მიზნების მომიზეზება აქ შუაში არ არის. ქართული საზოგადოებრივი სინიდისი და პოლიტიკური მორალი ასეთ ბინძურ საშუალებათ ვერასოდეს ვერ მიმართავს.

წმინდა სისხლი ჩვენი პარტიის თავმჯდომარის—კონსტანტინე აფხაზისა, გ. წინამძღვრიშვილისა, ვ. ყარანგოზიშვილისა და სხ. და სხ. რაინდული თავგანწირვა—ვერ დახურდავდება ვერასოდეს ვერც ერთ უებარ ვალიუტაზედაც, არამც თუ ყალბ ჩერვონეცებზედ, ბინძურ გულსა და თავში მოფიქრებულსა და უმგვან ხელებით გაკეთებულზე.

რ. გაბაშვილი.

## ქართველთა ერთობისათვის.

### III.

მართალია, 1921 წლის საქართველოს კატასტროფის განსაკუთრებული პასუხისგება მართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკისრება, გარდა სხვა, გინდ იმ თვალსაჩინო საბუთითაც რომ ვისაც მეტი ეძლევა, ან ვინც მეტსა ჩემულობს, იმას მეტიც მოეთხოვება,—მაგრამ განა მარტო სოციალისტებს ედება ბრალი გუშინდელ საქართველოს დაკარგვისა? განა მხოლოდ მას უნდა აეკიდოს უმძიმესი ტვირთი შორეულ ხნიდან აშლილ-დაშლილ ქართულ ეროვნულ ცხოვრებისა, რომელიც რუსულმა მე-19 საუკუნემ უანდერძა ჩვენს მე-20 საუკუნესა? და რომელიც იყო მთავარი მიზეზი თავისუფალ საქართველოს ასე ადვილი და სწრაფი დამხობისა?

ქართველებში ნათქვამია: ქუდი დადე და სამართალი ისე ქენიო. სამართლიან ისტორიის სამსჯავროს ხომ ვერაფერი დაემალება? მაშ ნუ დავმალავთ ჩვენც ამ სამართალს და ეს გაგვიადვილებს გამოძებნას ყველა მამულიშვილ ქართველთათვის შემაერთებელ კვალისას, რომელიც ახლო მომავალში გადაიქცევა დიდ გზად ჩვენი ეროვნული გამარჯვებისა. ამისათვის შევჩერდეთ ზოგიერთ მნიშვნელოვან მოვლენებზე ჩვენი შორიახლო წარსულის სინამდვილიდან. 1801 წლიდან, როდესაც გაუქმებულ საქართველოს სახელმწიფოში ფეხი მოიმაგრა რუსულმა სამხედრო ძალამ და პოლიტიკამ, ქართველთა შორის დაიბუდა რუსულ ორიენტაციის პარტიამ, შემდგარმა ქართველ გავლენიან თავად-აზნაურობის ნაწილისაგან. ეს პარტია გაიძახოდა: ვენდოთ რუსის ხელმწიფეს, აგვილაგმავს თათრებს, დააბრუნებინებს ჩვენს მიწებს და შეინახავს საქართველოსოა.

პავლე ციციანოვის მეთაურობით რუსეთის ამ მომხრე-მოიმედეებმა გამოუცხადეს სასტიკი ბრძოლა თავის მოწინააღმდეგე ბანაკს, რომელსაც მეთაურობდა ალექსანდრე ბატონიშვილი. ციციანოვს მისდევდა რუსული ჯარი, ბატონიშვილს ქართველი ხალხი. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა 30 წელს გაგრძელდა. რუსულმა ხიშტმა გამარჯვება მიანიჭა პირველს. 1832 წელს ქართველმა პატრიოტებმა კვლავ სცადეს საქართველოსათვის თავისუფლების დაბრუნება. მაგრამ შეთქმულობა გაცემულ იქმნა და შეთქმულები დამარცხდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბაგრატიონთა ხანგრძლივი ბრძოლის ხანა გათავდა. რუს რომანოვებმა გაათავეს თვით ქართველი ბაგრატიონების საგვარეულო. უბაგრატიონო საქართველო დანებდა რუსულ ძალმომრეობას. ქართველთა ქვეყანაში რუსები მაშინათვე შეუდგნენ ყოველივე ქართულის ნგრევას. საქართველო რუსულ გუბერნიებად გამოაცხადეს, ქართული ეკლესია რუსულს მიაკერეს, ქართველი თავად-აზნაურობა რუსულ ფერხულში ჩააბეს, ქართველ ხალხს სკოლებში ქართული ენა წაართვეს. ქართულ ცხოვრების გარუსების პროცესი სწრაფად მიმდინარეობდა. საქართველოს მდიდარი წარსული თითქმის მივიწყებას და რუსულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალს ეძლეოდა. მაგრამ ამ საბედისწერო ჟამს ქართველ ერს თავს წაადგა მისი მუდმივი მფარველი, მრავალ საუკუნოვანი და მძლავრი ქართული ეროვნული სული.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ძალა მილეულ საქართველოში ჩნდებიან დიდი ქართველნი: ბარათაშვილი, ერისთავები, ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ. გაფანტულ და უფსკრულზე მიმდგარ ქართველ ერს მოესმა მათი მრისხანე შემოძახილი: უკან, თქვენ კერისაკენ, საქართველოსაკენ!

1895 წელს კრწანისის ველზე თავმოყრილ აუარებელ ქართველობამ, განურჩევლად წოდებისა, სქესისა და წლოვანებისა საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებულ კრწანისის გმირების საფლავების წინ დაჩოქილმა, ფიცი დასდო საქართველოს ისტორიის აღდგენისთვის. და როდესაც, რამოდენიმე წლის შემდეგ 1901 წელს, რუსულ ტრადიციის ძველ მატარებლებმა, რუსეთთან «შეერთების» 100 წლის თავი გადაიხადეს, ამ ბრწყინვალე რუსულმა ზეიმმა ქართველ ხალხის დაუსწრებლად ჩაიარა.

ამ რიგად მე-20 საუკუნის კარი საქართველოში გაიღო იმ დროს, როცა გალვიძებული ქართველი ეროვნული შეგნება მე-19 საუკუნის რუსულ ბორკილების მსხვრევას შეუდგა. მაგრამ, საუბედუროდ ასე ადვილი არ ყოფილა ქართულ ხორცში ღრმად შეჭრილ ასწლოვან მონობის ბორკილის მოშორება. ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ოფიციალური რუსული თეზა—ერთგულება რუსეთის ხალხისადმი—ჯერ აქტუალური იყო. რატომ? იმიტომ რომ მე-19 საუკუნის მიწურულში აღმოხეთქილ ქართულ ეროვნულ მოძრაობის მეთაურებმა ვერ შესძლეს მისი ჩალაგება პოლიტიკურ ფორმებში. მათ არ ჰყავდათ პოლიტიკური ორგანიზაციები. ამიტომ მათ ვერ შესძლეს ქართველი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმა. დრო კი არ იცდიდა. რუსეთში იწყობოდა ხანა რევოლიუციებისა. თავისი ახალ ლოზუნგებით და საქმეებით. ეს მხიბლავი დემაგოგიური ახალი რუსული იდეები იჭრებოდნენ ქართველი ხალხის შუა გულში, უქმნიდნენ იმედებს და ილიუზიებს საერთო უდიდეს ბედნიერებისა რუსულმა რევოლიუციამ დაასწრო ქართულს.

ამ უკანასკნელმა, პოლიტიკურ ორგანიზაციის უქონლობის გამო, ვერ გაბედა ახალ რუსულ ხანისათვისაც, წმინდა პოლიტიკურ ქართული თეზის წაყენება. ძველი რუსული თეზა დარჩა და ქართული ეროვნული მოძრაობა რუსულ რევოლიუციის სტიქიონის მორევში ჩაექანა.

ქართულ სარბიელს დაეპატრონა რევოლიუციურ რუსეთის პარტია სოციალ-დემოკრატია. მისი გავლენიანი ნაწილი—ქართველი სოციალ-დემოკრატია, რომელმაც ძალიან მალე, თითქმის. მთელი ქართველი ხალხი თავის პოლიტიკურ ორგანიზაციებში ჩააბა, იცავდა მტკიცედ რუსულ თეზას.

ამ მოვლენათა წყალობით აიხსნება 1905 წელს ქართულ კრებებზე საქართველოს ავტონომიის და ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის აღძრულ საკითხების ადვილი ჩაშლა.

რუსული თეზით, რუსეთის რევოლიუციით აღძრულ ილიუზიებით,—აი რა დალით დახვდა დიდი ომის წინა ხანას ქართული პოლიტიკური საზოგადოება. ამ რუსულ იერს ვერ სცვლიდა ქართულ ფედერალიზმის ცდა—რუსეთის ფარგლებში ქართულ პოლიტიკის გაერთიანებისა.

ამ იერის ბრალით ახლად დაბადებული ნაც.-დემოკრატიული პარტია თავის პირველ კონფერენციაზე მოექცა 1783 წ. ტრაქტატის უფლებრივ ფარგლებში და მიიღო საბოლოო განთავისუფლების გარდაწყვეტილება რუსეთის დიდ რევოლიუციის დაწყების ხანაში. ამავე ხანამ ქართულ სოც.-დემოკრატიასაც აალებინა ხელი რუსეთის დემოკრატიასთან ერთობაზე და 26 მაის 1918 წ., როდესაც რუსული ხიშტი გასცილდა საქართველოს საზღვრებს, მთელმა ქართულმა პოლიტიკურმა ბანაკმა მოაწერა ხელი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის ისტორიულ აქტს.

ქართველ ხალხის ისტორიულ ეროვნულ თავისუფლებისაკენ ლტოლვის დინამიკამ; რუსულ ილიუზიების ჩაშლამ და მსოფლიოში შექმნილ ახალმა პირობებმა იხსნა ქართული წრეები რუსული თეზის ტყვეობიდან.

და როდესაც ქართლ-კახელები იბრძოდნენ ჩოლოქთან, იმერელ-გურულები ფოილოსთან და სანდართან ოსმალეთის ჯარების შემოსევის შესაჩერებლად და იმავე დროს კი გუდამაყრელ-ხევსურნი და მეგრელ-აბხაზნი უკეტავდნენ რუსეთს დარიალისა და გაგრის კარებს, ამით ქართველმა ხალხმა ანდერძი აუგო მე-19 რუსულ საუკუნის ისტორიას და ყველა მის მებაირაღტრეებს.

დრონი იცვალნენ. თან მოგვიტანეს ქართული ცხოვრება, ქართული აზრები და ქართული საქმენი. მაგრამ ქართულ პოლიტიკურ საზოგადოების ზედა ფენები ძველნი დარჩნენ. მშობლიურ ისტორიის და ქვეყნის რეალურ მოთხოვნილების უცოდინარობა, რუსული დოქტრინიორობა, ამიტომ მერყეობა, გაუბედავობა—აი რა ნაკლი ახასიათებდა, განურჩევლად მიმართულებისა, მთელ იმ პოლიტიკურ ბანაკს, რომელსაც ათი წლის წინად ჩაბარდა დამოუკიდებელ საქართველოს მოვლა-პატრონობა. ამ ბანაკში ბევრი სკეპტიკოსი ერია. განა ქართულ საპასუხისმგებლო ადგილებზე არ იდგნენ მაშინ ისეთი სამხედრო თუ პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაც არაფერი სჯეროდათ თავისუფალ საქართველოსი და მხოლოდ ძველ რუსულ მონარქიას და რუს ივანოვების აღდგენა-დაბრუნებას ნატრულობდნენ? განა საქართველოს დამფუძნებელ კრების მარჯვენა ფრთის წარმომადგენლობა არ იყო ცოდნით მქრაალი, საქმით ნაკლები და ამიტომ უსუსური? განა ამ წრეში არ ერივნენ ისეთები მუდამ რომ შლიდნენ ქართულ ეროვნულ ოპოზიციის საჭირო მთლიანობას? და ყველა ეს იმიტომ, რომ ეროვნული მომზადება და ნებისყოფა ამ წრეებშიაც მოისუსტებდა. მე-19 რუსულ საუკუნის პირმშო შვილნი, ქართულ საზოგადოების პოლიტიკურ ბანაკის ყველა ნაწილები სხვადასხვა პროპორციით სხვადასხვა მხრივ დამნაშავენი იყვნენ თავის ქვეყნის წარსულ მარცხებში.

და აკი რუსეთმა ასე ადვილად გადმოაბიჯა «ამ დაბალ ღობეს» და კვლავ ხიშტის წვერით თავს დაასვა საქართველოს თავისი ნაცოხნი რუსული პარტია—დღეს ქართულ კომუნიზმის სამოსელში გახვეული. ეს ამბავიც ოეციდივია მე-19 საუკუნის რუსულ ხანისა. ამ რეციდივს ქართველმა ხალხსა 1924 წელს ერთსულოვან აჯანყებით უპასუხა. აჯანყდა ყველა კუთხე, ყველა წრე, ყვე-

## ილია ჭავჭავაძე *)

ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წ. და ამ გარემოებამ მისცა სწორედ განსაკუთრებული ელფერი როგორც მის შემოქმედებას, ისე მოღვაწეობას. ესევე გარემოება განასხვავებს მას იმ მწერლებისაგან, რომლებიც საზოგადო ასპარეზზედ მეორმოცე წლებამდე გამოვიდნენ. როგორი იყო ეს პირველი ორმოცი წელიწადი ახალის საუკუნისა? ეს წლები გაგრძელება იყო ირაკლი მეფის საუკუნისა და აღსავსე ამბებით, რომლებიც საქართველოს რუსეთთან ვერაგულმა «შეერთებამ» გამოიწვია. ბაგრატიონების სული ჯერ ისევ სცოცხლობდა საქართველოში. აჯანყება 1802 წელს, აჯანყება 1804 წელს. კახეთის აჯანყება 1812 წელს, იმერეთის აჯანყება 1820 წელს, შეთქმულობა 1832 წელს და მრავალი სხვა ამბავი—იმის მაჩვენებელი იყო, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვას და სამეფოს გაუქმებას ქართველი ერი ვერ შერიგებოდა. ეს იყო წლები ომისა რუსეთთან, შეთქმულობისა, ოცნებისა და მარცხისა, ემიგრანტობისა და სამშობლოდგან ძალად გაძევებისა. ყველა მწერალი, ამ ხანში გიმოსული სამწერლო და საზოგადო ასპარეზზედ, ან პირდაპირი მონაწილე და მეთაური იყო ამ ამბებისა, ან უშუალოდ განიცდიდა მის გავლენას და შედეგებს. გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი—ყველანი შეთქმულთა წრეებს ეკუთვნოდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო ედგა ამ ამბებს ახალგაზრდა ნიკოლოზ ბარათაშვილიც. ამიტომ მათი პოეზია და შემოქმედება საესეა ნაღვლით და შეიცავს დამარცხებულის გოდებას. ყველა ესენი ის ხალხია, რომელმაც ცხოვრებაში უდიდესი მარცხი ნახა. არა მუდამ პირადი, რა თქმა უნდა! ბევრმა მათგანმა, ამ მხრივ, პირიქით, დიდ წარმატებასაც მიაღწია ცხოვრებაში. გრიგოლ ორბელიანი შემდეგში მთელი კავკასიის მთავარ-მართებელი შეიქმნა. ეკატერინე დიდის ნათლული ალექსანდრე ჭავჭავაძე პირველი განცხრომის კაცი გახდა საქართველოში. ის იყო ყველაზედ ბედნიერი მამაც ამავე დროს. თავისი სამი ქალიდგან ერთი შესანიშნავ გრიბოედოვს მისცა, მეორე ბარონ ნიკოლაის, რუსეთის მინისტრს, მესამე სამეგრელოს მთავარს. როგორც ხედავთ, ამ ქართული განკითხვის ხანაში, როცა ყველა ქართული ტახტები ილეწებოდნენ, ბედის უცნაური ღიმილის წყალობით, კიდევ გამოჩნდა ისეთი ქართველი ქალი, რომელიც ისევ ავიდა დედოფლად უკანასკნელ ქართულ ტახტზედ. გიორგი ერისთავმა შემდეგში ქართული თეატრი შექმნა და რადგანაც ეს თეატრი უპირველესად კომედიური იყო, თითქოსა ჰგავს, რომ მისი შემქნელიც ყველაზედ მხიარული კაცი უნდა ყოფილიყო საქართველოში. დიდი წარჩინება ხვდა სახელმწიფო ასპარეზზედ დიმიტრი ყიფიანსაც და გავლენიან ნათესაობას მოკლებული ქართლელი აზნაური მთელი ქართველი თავად-აზნაურობის მარშლად იყო. ბედი არა სწყალობდა მხოლოდ ერთ ნიკოლოზ ბარათაშვილს. მაგრამ «ბედნიერი წუთები» თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მასაც ჰქონდა და როდესაც ყველახი, ესე იგი ქართველი ყმაწვილკაცობა, შამილის დასაჭერად წავიდნენ -თბილისის ქალები იმას და ყაფლან ორბელიანს დარჩათ მარტოდ, განა რითი არ იყო ეს სასიხარულო, მიუხედავად მისი მჩივანი მუზისა?! და მიუხედავად ამისა, ყველა ესენი და კიდევ სხვანი, უდიდეს დარდისა და ბოღმის ხალხი იყო. ბაგრატიონების ბრძოლა ტახტის დაბრუნებისათვის და იმათი მარცხი ამათი პირადი მარცხიც იყო. ეს ხაზი მათ გულში ველარაფერმა წაშალა. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მათ შორის სცხოვრობდა ის ხალხი, რომელიც ცოცხალი ძეგლები იყვნენ იმ წარსულისა, რის მოსატრიალებლად მათ ამდენი ბრძოლა გასწიეს. გრიგოლ ორბელიანს იარალი ჰყავდა ამ წარსულის მოსაგონებლად. ბარათაშვილი ერთ თავის წერილში აგვიწერს რა შთაბეჭდილებას ახდენდა მაზედ და ეტყობა სხვაზედაც მეფე გიორგის მოძღვარი ეგნატე იოსელიანი. «მინუვშეე პროხოდილო პერედ ნიმ, ვოლნუიას კაკ მორე ოკეან!» სწერს პოეტი რუსულად ამ წარსულის აჩრდილზედ თავის წერილში.

უფრო მეტ ნაღველს წარმოადგენდა ამ ახალს დროში დავით რექტორი. ის ცხოვრობდა ანჩისხატის უბანში, როგორც ნივთი მივიწყებული წარსულისაგან და სამდურავი აწმყოსი. საქმე აღარაფერი ჰქონდა. დარდისა და მოწყენის დღეებში თავს თავისი უბადლო კალიგრაფიით იქცევდა და ერთხელ კიდევ გადასწერა მეფე ირაკლის დასაფლავების ცერემონიალი, ოდესღაც მისგან შედგენილი... ეს უკვე უქნისი. მაგრამ ბევრის მნახველი მოხუცი, კარგადა გრძნობდა, რომ საქართველოს მზე ირაკლისთან ერთად ჩაესვენა. ამიტომ იყო ეს ცერემონიალი ასე სრული და დიდზეიმიანი და დრო იყო ეხლა თითონაც მომკვდარიყო. მაგრამ წინ ერთი მწუხარება კიდევ ედო. მისი გაზრდილი და საქართველოს ტახტის მემკვიდრე—ბატონიშვილი დავითი მაზედ ადრე გარდაიცვალა. დრო იდგა სხვანაირი და თითონაც კარგად ესმოდა, რომ ახალ ცერემონიალს მას აღარ დააწერინებდნენ. მაგრამ ამ დღის აღნიშვნა

*) მოხსენება, წაკითხული ბ-ნ შ. ამირეჯიბის მიერ ი. ჭავჭავაძის სიკვდილიდან 20 წლის მოსაგონებელ დღეს პარიზში 18 ქრისტეშობისთვეს 1927 წელს.

ლა მიმართულება, მთელი საქართველო. და არა მხოლოდ ბოლშევიკების და მათ მიერ შექმნილ პირუტყვულ რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ და უმთავრესად რუსეთის ბატონობისა. ამიერიდან ქართველ ხალხის პოლიტიკურ აზროვნებიდან ძირიანად ამოგდებულია მე-19 საუკუნის რუსული ფესვი: რუსეთის ფარგლებში, რუსების ხელით ქართული საქმის აშენებისა.

1924 წ. ქართველმა ერმა გარკვეულად გამოსახა თავისი ნებისყოფა და სურვილი: დაივიწყეთ ძველი მტრობა და ქართველთა ერთობლივი ბრძოლით დაუმკვიდრეთ თქვენს სამშობლოს მე-20 საუკუნე—ქართულ საუკუნედ.

ჩვენ ამ გზას ვადგივართ, ჩვენ უნდა ვიაროთ მხოლოდ ამ გზაზე, რადგან ჩვენ გავიმარჯვებთ მხოლოდ ამ გზითა. ეს გზა—ქართველთა ერთობაა.

დ. ვაჩნაძე.

## ბოლშევიკური თავგასულობა.

შეიძლება არც კი ღირდეს ამაზედ ლაპარაკი. მაგრამ არის ზოგიერთი მაგალითი თავგასულობისა, რომელსაც გვერდს ვერ აუხვევ.

მოვიყვანოთ ორი მხოლოდ.

პოლონეთის გვერდით მდებარეობს პატარა სახელმწიფო—ლიტუანეთი, რომელიც არ არის კარგ განწყობილებაში თავის ძლიერ მეზობელთან. მოულოდნელად ამ საქმეებში ერევა ბოლშევიკური რუსეთი და ნოტას უგზავნის პოლონეთს: «მე ვიცი, შენ ცუდი ზრახვები გაქვს ლიტუანეთის მიმართ; შენ გინდა თავს დაესხა და ბრძოლით დაიპყრო ეს პატარა სახელმწიფო. მე არ შემიძლიან მშვიდათ ვუყურო ამისთანა უსამართლობას. ყოველ პატარა სახელმწიფოსა აქვს უფლება დამოუკიდებლობისა და თუ შენ მას ხელს შეახებ, მე იძულებული ვიქნები, როგორც ყოველთვის, გამოვიდე თავისუფლების მცველადო.»

ქართული ანდაზაა: არა-მკითხე მოამბეო—მისტყიპე და მიაგდეო! სამწუხაროდ ამ სიბრძნეს გასავალი არა აქვს საერთაშორისო ცხოვრებაში, თორემ კარგი იქნებოდა იმ მოამბეს, რომელსაც მოჰქონდა ამისთანა ნოტა, ერთი-ორი პანღური მოხვედროდა უკან. მაგრამ ვარშავაში ზრდილობიანი ხალხია და მხოლოდ ზრდილობიანად გაახსენეს მოსკოვის შიკრიკს: «ერთი გვითხარით, დიდი ხანია, რაც მოსკოვი გამოდის პატარა ერების მცველად?! საქართველოც პატარა ერია, თქვენ იცანით მისი დამოუკიდებლობა, ხელშეკრულობაც დაუდევით მას, მაგრამ უეცრად თავს დაესხით და გაანადგურეთ იგი. არა გრცხვენიათ, რომ ეხლა ეჩრებით სხვის საქმეში ვითომდა იმისთვის, რომ დაიცვათ ლიტუინეთის თავისუფლება, რომელსაც არავინ ემუქრება და რომელთან თქვენ საერთო საზღვარიც კი არა გაქვთ?!»

—ძირს სირცხვილი!.. უპასუხა თურმე ბოლშევიკების შიკრიკმა.

მართლა, სად სირცხვილი და სად ბოლშევიკური რუსეთი?

აი მეორე მაგალითიც:

ჟენევაში ჩამოვიდა რუსეთის დელეგაცია, რათა მიიღოს მონაწილეობა განიარაღების კომისიის მუშაობაში. მთელი ქვეყანა მოელოდა რაიმე სისულელეს ამ დელეგაციისაგან. მაგრამ არავინ მოელოდა ისეთ წარმოუდგენელ სისულელეს, რომლის მოწმენი გახდნენ კომისიის წევრნი. ბოლშევიკების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნამდვილი განიარაღება მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ყოველი ერი თვითონ დაანგრევს თავის სახელმწიფოსაო; ინგლისმა უნდა ეხლავე ააფეთქოს ყველა თავისი სამხედრო გემები, საფრანგეთმა დაშალოს თავისი ჯარი, პოლონეთმა გახსნას თავისი საზღვრები... ალბად იმისთვის, რომ რუსეთის ლაშქარმა ადვილად დაიპყროს მთელი ევროპა. ამ საკვირველ განცხადებაში იყო ორი ადგილი, ან უკეთ რომა ვსთქვათ—ორი ფრაზა, მართლა საყურადღებო.

«ბოლშევიკური მთავრობა, განაცხადა ბ. ლიტვინოვმა, ერთად ერთი მთავრობაა, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავის ნებისყოფა მშვიდობიანობის და განიარაღებისაო...

«უნდა მოისპოს შეიარაღებული ჯარი, რათა დამონებულ პატარა ერებს მიეცეს თავისუფლებაო...»

ამ უსირცხვილო, ამ თავგასული განცხადების დროს, ორჯერ აიხატა თურმე კედელზე წამებული საქართველოს მწუხარე ლანდი.

გიორგი ევაზავა.

## მიხეილ მაჩაბელი.

წარსულ წლის 9 დეკემბერს, ქ. თბილისში, რვა თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ (ხერხემლის კუ), გარდაიცვალა ჩვენი პარტიის ერთერთი დამაარსებელთაგანი და ცნობილი ქართველი მოღვაწე მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი. მისი ცხედარი 14 დეკემბერს მიაბარეს დიდუბის პანთეონს. დაკრძალვას დაესწრო მთელი ქართველი საზოგადოება და მრავალი ქართული ორგანიზაციების წარმომადგენელი.

მიხეილ მაჩაბელი—ეს ერთ-ერთი მდიდარი ფურცელია უკანასკნელ ნახევარ საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორიისა.

კაი მცოდნე ქართული წარსულისა, აწმყოსი, პატიოსნებით სავსე მოღვაწე მიხეილ მაჩაბელი, 50 წლის განმავლობაში მრავალნაირად და დაუღალავად იბრძოდა ქართული საქმისათვის. განსაკუთრებით იღვწოდა ქართულ ეკონომიკის დარგთა განვითარებისათვის.

«ქართველ კაცს აკლია პრაქტიკული ცოდნა. ეს მოვლენა ასუსტებს მის შრომის უნარს. უნდა განვავითაროთ ქართველ ხალხში ერთიც და მეორეც და უზრუნველვყოთ მისი ეკონომიური სიმტკიცე. დანარჩენი თან მოჰყვება»-ო. ამბობდა განსვენებული 1910 წ. ქ. სამეურნეო საზოგადოების გახსნის დღეს.

ბანკები, საადგილ-მამულო, სამეურნეო, პროფესიონალური განათლების, საქველმოქმედო და სხვა ამგვარი ორგანიზაციები, რომლის შემქმნე-

მაინც საჭირო იყო. ამ დღიდგან თავის წერილებს დავით რექტორი შავ-არშიან ქაღალდზედ—სწერდა და სულ ხელი აიღო ახალი საქართველოსი რამე გაეგო.

აი, ეს შავი არშია და ეს წარსულის ცოცხალი ძეგლები არ აძლევდნენ მოსვენებას მაშინდელ ქართველობას. ილია ჭავჭავაძე ამ ხანას არ ეკუთვნოდა. დავით ბატონიშვილი მოკვდა 1819 წელს, დავით რექტორი 1827 წელს, ალექსანდრე ბატონიშვილი სცხოვრობდა სპარსეთში, მაგრამ «უმადური» ქართველებით და მიიცვალა 1845 წელს მიხელ «ბატონიშვილიც», რომელიც ბაგრატიონთა დინასტიის ფარული წესის ძალით «საქართველოს მეფის» ტიტულს ატარებდა. ილია ჭავჭავაძის ახალგაზრდობის ასაკი ამ ამბების შემდეგ ჩამოყალიბდა, მან ვეღარ მოუსწრო ამ წარსულის ცოცხალ ძეგლებს და უნდა ვიფიქროთ რომ შავ არშიანი ქაღალდებიც ისეთ შთაბეჭდილებას ვეღარ სტოვებდნენ მის დროს. დაიწყო ახალი ხანა და საზოგადო ასპარეზზედ გამოვიდა ისეთი თაობა, რომელიც წარსულთან ამ ანაქრონიკული ადამიანებით კი არ იყო გადაბმული, არამედ ისტორიულად, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ თაობას ეს წარსული ფრიად საპატიო და თვალსაჩინო ადგილზედ უნდა გამოედგა, მაგრამ მთავარი ყურადღება აწმყოსათვის მიექცია. განსხვავება ძველსა და ახალ დროსა, ძველ თაობასა და ახალ თაობას შორის ის იყო, რომ ახალთაობას შეგნებული ჰქონდა: შეუძლებელი იყო არა მარტო ამ წარსული საქართველოს აღდგენა, შეუძლებელი იყო საქართველოს განთავისუფლებაც, თუ ამ საქართველოში წინასწარი და დიდი ცვლილება არ მოხდებოდა. ეს მოითხოვდა ერთის მხრივ გრძელ ვადას, მეორეს მხრივ მშვიდობიან მუშაობას. არა აჯანყებას, არამედ სიწყნარეს, არა შეთქმულობას, არამედ აშკარა მუშაობას, არა იერიშებს, არამედ განიერ შემოვლას. ილია ჭავჭავაძე ნამდვილი ავტორი იყო ამ შეგნებისა და ნამდვილი ბელადი იმ თაობისა, რომელიც ამ შეგნებას ატარებდა, ამიტომ სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო პირველი ჩვენში, რომელმაც ასე მკაფიოდ გამოხატა ეს აზრი:

მას ნუღარ ვსტირით რაც დამარხულა,
რაც უწყალო დროს ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ ამბებზედ დარდი.
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

მე აღარ მოვიყვან არც ერთ ამონაწერს მისი თხზულებებიდგან, მაგრამ თქვენ თითონაც დარწმუნდებით, რომ ეს სრულიად საკმაოა არა მარტო ჩემი მოხსენებისათვის, არამედ თითონ ილია ჭავჭავაძის დასახასიათებლად, თუმცა მას აზრები და ფიქრები საქართველოსათვის და საქართველოზედ უამრავი ჰქონდა.

ეს მთელი პროგრამა იყო. ეს იყო ახალი გეგმა მოქმედებისა და ეროვნულის ბრძოლისა, რომლითაც ჭავჭავაძის ხანა ასე განსხვავდებოდა მის წინა დროისაგან, იმ ორმოცი წლისგან, რომელიც სავსე იყო აჯანყებებით, შეთქმულებით, სისხლის ღვრით, ძალადობით და მარცხითა. ამ ახალმა პროგრამამ წარმოშვა ის, რომ ილია ჭავჭავაძის პოეზია და საზოგადოთ მთელი მის დროინდელი მწერლობა, არის მშვიდი, წყნარი, შინაური პრობლემებით და მხატვრული მიღწევებით აღსავსე, ნაყოფი არა მარტოოდენ რომანტიული სულისკვეთებისა, არამედ და უფრო მეტად შედეგი დიდი და გამუდმებული შრომისა, მხატვრული დამუშავებისა და ფილოსოფიური, ეროვნული და სოციალური ჩაფიქრებისა.

ილია ჭავჭავაძეს არა აქვს ისეთი ლექსი, როგორც ბარათაშვილის მერანი, მას არა აქვს არც ისეთი ნაღვლიანი ჰიმნი როგორც გრიგოლ ორბელიანის «თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში». მაგრამ ის სალამს უძღვნის გარიბალდის გალაშქრებას რომზედ, ის ლექსს უძღვნის პარიზის კომუნას, ის დარიგებას აძლევს «ქართლის დედას», ისა სწერს «სტუდენტების სიმღერას» და «დედა და შვილში». წმინდა ხალხურის კილოთი დაწერილი «ქართველო ხელი ხმალს იკარო»—შეაქვს, მანამდე კი «ოქროს აკვანს» ბაზალეთის ტბის ძირასა სდგამს, ასე შორს, მაგრამ განზრახ შორს, რომ გული არავის წასცდეს და ჯერ კიდევ სუსტი ხელებით ამ აკვანს უდროვოდ არავინ დასწვდეს, ვიდრე ქვეყანა სავსე იყო ლუარსაბებით და დარეჯანებით, ვიდრე გაბროები და კაკოები თავის ბატონებს ხოცავდნენ და თითონ ტყეში მირბოდნენ, რომ გადავარდნილობაში დაელიათ თავისი დღენი, ვიდრე ბატონის ქალს კესოს არ ესმოდა, რომ სიყვარული თავისუფალია მაშინაც, როცა ყველაფერი მონობას ემორჩილება და გლეხის ბიჭსაც შეუძლიან თავადის ქალის სიყვარული. ფიქრი იმისა, რომ სწორედ ამათი ხელები იყო ის ხელები რომელიც ამ აკვანს ამოიღებდა—შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ჯერ სულ სხვა რამ და ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა ამ რამის გაკეთებას შეუდგა. მთელი ხანა მესამოცე წლებიდგან მოყოლებული მეცხრამეტე საუკუნის დასრულებამდე იყო ხანა კულტურული და ეკონომიური მუშაობისა ეროვნულ ნიადაგზე, ნამდვილი გაზაფხულური კატაკლიზმი ძვრისა და ლეწვისა და ახალი ყლორტების ამოსვლისა, რაც ქართველ ერს თანამედროვე ერადა ხდიდა.

არიან ორნაირი ბელადები: ერთნი თითონ მისდევენ ბრბოს, ხელს აფარებენ მის ქვენა გრძნობებს და ხელს უწყობენ მის მავნე და შემცდარ აზრებს. ასეთ ბელადებს ცხოვრება კატასტროფისაკენ მიჰყავთ. მეორენი თითონ უძღვიან ხალხს რჩეული აზრების გზით, ამ კარგ აზრებში სწრთვნი-

ლი ნაწილობრივად და ზოგის მეთაური თვითონ იყო. აი ამ გეზით დაუღალავად ილვწოდა მთელი თავისი სიცოცხლე განსვენებული და მოკვდა საქართველოს შინა მრეწველობის ორგანიზაციის მეთაურის პოსტზე.

მაგრამ არა მარტო ამ მხრივაა თვალსაჩინო მ. მაჩაბლის ღვაწლი ქართველ ერის წინაშე ამ ქართველ მოღვაწეს შეაქვს თავისი დიდი პატრიოტული წვლილი ახალ ქართულ ისტორიულ პერიოდში: ქრისტიან და მუსულმანურ საქართველოს დაახლოვების და გაერთიანების მოძრაობის შექმნა.

---

სოლოვეცის მონასტერში გარდაიცვალა ჩვენი პარტიის წევრი ვ. ყარანგოზიშვილი.

შემდეგ ნომერში გაზ. «მამულიშვილი» უძღვნის წერილებს ჩვენს უანგარო და თავდადებულ მეგობრებს, რომელნიც შეეწირნენ ვერაგ მტერს სამშობლოსათვის.

---

## 363,700 ქართველ გლეხის საქართველოდან გადასახლების გეგმა.

«სრულიად საქართველოს მუშათა და გლეხთა» ც. კ. ორგანოში გაზეთ «კომუნისტის» 24 ენკენის. 1927 წ. მეთაური წერილი გვამცნობს საქართველოს უმიწაწყლო გლეხობის მოწყობის გეგმას. იგი სწერს:

«ჩვენში მიწის დიდ ნაკლებობასა აქვს ადგილი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებით საქართველოს მიწის კოდექსით განსაზღვრულ ნორმებზედ მიწად მოწყობის გატარების შემდეგ უმიწაწყლო გლეხების რიცხვი იქნება 536.000 სული ანუ 107.350 მეურნეობა. ეს მთელ სოფლის მოსახლეობის დაახლოვებით მეოთხედს უდრის.

რა ზომები უნდა იქნას მიღებული უმიწაწყლობის მოსასპობად?

ამავე საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით. თავისუფალი და მომავალში გამოსაყენებელი (ჭაობები, ურწყავი, ტყეები) მიწები შეადგენენ 73.000 ჰექტარს და მასზე შეიძლება მოწყობილ იქმნას 34.620 მეურნეობა ანუ 173.000 სული. მაშასადამე, მიწით დაუკმაყოფილებელი ამის შემდეგ კვლავ რჩება 363.700 სული ან 72.730 მეურნეობა. რა უნდა უყოთ ამოდენა ხალხს?»—სასოწარკვეთილებით იკითხება ქართველ მუშათა და გლეხთა ამშენებელი «კომუნისტი». და იძლევა ასეთს პასუხს:

«გარდა ჩვენი რესპუბლიკის შიგნით უმიწაწყლო გლეხობის მოწყობისა, საქართველოს მოსახლეობას ეთმობა მიწები საერთო საკავშირო ფონდიდან. საკავშირო მთავრობამ ჯერ ჯერობით ამ მიზნით გამოყო სოჭის რაიონში 40.000 ჰექტარი, ხოლო თერგის ოლქში 89 ოჯახისათვის საკმაო მიწა. სულ ამ მიწებზე 1927-28 წ.წ. დასახლებულ იქნება საქართველოდან 5.445 კაცი. საერთოდ განზრახულია საქართველოს გარედ მოწყობილ იქმნეს 48.000 სული ან 9.600 მეურნეობა».

ასეთია კომმარული მიღწევანი «ქართულ საბჭოთა ძალაუფლებისა» საქართველოში.

ჯერ იყო ათასობით ხვრეტეს, მერმე ათასობით და განუწყვეტლივ ჰგზავნიან ციმბირის ტუნდრებში, სოლოვკებში და რუსეთის სატუსაღოებში ქართველი ხალხის რჩეულ მოწინავე წრეებს, ეხლა მიადგენ თვით სოფლის მოსახლეობას და 360.000 ქართველ გლეხს და მუშას ასახლებენ საქართველოს გარედ «სახელმწიფო საგეგმო კომისიის» ხელმძღვანელობით.

ამ მზაკვრულ გეგმის სათავე 1921 წელია, როდესაც ქართველმა კომუნისტებმა დაუმიჯნეს ადერბეიჯანს ერთი მესამედი თბილისის მაზრისა (დავით გარეჯის მონასტრით), მერმე ორი მესამედი ბორჩალოს მაზრისა (ნეიტრალური ზონით) გადაულოცეს სომხებს და 1925 წელს ახალქალაქ-ახალციხის მაზრებიდან საკიანებს გამოარეკინეს თითქმის მთელი ქართული მოსახლეობა. ეხლა ბათომის ნავთსადგურში იღებენ ათასობით გადმოხვეწილ საბერძნეთიდან სომხებს ფედერაციაში დასასახლებლად; ცხადია სად—აღმოსავლეთ საქართველოში ქართულ საფონდო მიწებზე. ყოველ შემთხვევაში ახლად გადმოხვეწილნი თვითონ დასახლდებიან. მადლობა ღმერთს საქართველოს მიწა-წყალზე დაბინავებული ნათესაობა მათ არ აკლიათ. ახლო მომავალში, იმედია, ქართლ-კახეთში უცხოელთა მოსახლეობა ბევრად გადაამეტებს ქართულსა.

ამ გვარად შენდება ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

კომუნისტური იდეები ქართველებს, მიწები და ქართულ ცხოვრების მთელი დოვლათი უცხოელებს.

ესაა საფასური ჯუღაშვილის დიქტატურისა მოსკოვში და ორჯონიკიძის კომპანიისა თბილისში.

თბილისი კი ზაჰესით განათებული ბრწყინავს. ცხადია იმ ბრწყინვალე მიზნისათვის, რომ ზიზილ-პიპილით დაბრმავებული ქართველი არ ხედავდეს ქართულ ისტორიის და სიცოცხლის გამყიდველ ქართველ კომუნისტების ნამდვილ შავ საქმეებს.

დღნვინი.

---

Rédaction et Administration

M-r. R. GABACHVILI.

87, rue du Cherche-midi 87.

Paris.

*Le Gérant* : VICTOR GAY.

---

ან თითონ ხალხს და სწორედ ესა ჰქმნის საზოგადოებრივ და ეროვნულ პროგრესს. ამ პირველი ჯგუფის ბელადები ხშირია და მრავალი—ამიტომ ხშირია საზოგადოებრივი რეგრესი, ჩამორჩენილობა და ერთ წერტილზედ გაყინვა. გაცილებით იშვიათია მეორე ჯგუფის ბელადი და მთელი სიდიადე ილია ჭავჭავაძისა, რაიცა ჩვენში აღტაცებას და აღფრთოვანებას იწვევს, ის არის, რომ იგი სწორედ ამ მეორე ჯგუფის ბელადებს ეკუთვნოდა.

ქართველი ერის სულიერი და ზნეობრივი ძალების გაფურჩქვნა, მეცხრამეტე საუკუნეში, ილია ჭავჭავაძით დაიწყო. მან შექმნა მისი ეროვნული დაწესებულებანი და საზოგადოებრივ ცხოვრებას მაჯის ცემა აღუძრა. მან პირველმა აღძრა მარადი პრობლემები ქართულ სამხატვრო მწერლობაში. რათ დავმალოთ, «განდეგილისთანა» მხატვრული ნაწარმოების შექმნა არ ძალედვა არც ალექსანდრე ჭავჭავაძეს, არც გრიგოლ ორბელიანს, არც თვით ნიკოლოზ ბარათაშვილს და სწორედ ამ შესაძლებლობით განირჩევა ხოლმე მუდამ ერთი საზოგადოებრივი ხანა მეორესაგან. მან შეიტანა ამავე მხატვრულ მწერლობაში სოციალური საკითხები და მის თხზულებათა ვარიანტები ამტკიცებენ, რომ მისი გლახის ნაამბობი და დ. ჭონქაძის «სურამის ციხე» ერთსა და იმავე დროს არის დაწერილი. თემასა და საკითხების ორიგინალობაში ილია ჭავჭავაძეს ვერც შემდეგმა თაობამ გაუსწრო და ეგნატე ნინოშვილის და სხვა მწერალთა თხზულებანი ილია ჭავჭავაძის განმეორებაა. ნიჭი და უნარი სხვა მის სახელოვან თანამედროვეებშიც უხვად იყო გაბნეული და მაინც ნამდვილი და ერთად ერთი ბელადი მხოლოდ ის იყო. რატომ? თქვენ იტყვით, რომ მაშ ის ყოფილა ყველაზედ ჭკვიანი, ყველაზედ ნიჭიერი, ყველაზედ განათლებული ქართველი? რა თქმა უნდა! მაგრამ ჭკუა ხშირად ფლიდია, ნიჭიერება—ბილწი, განათლება—მცდარი! ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც ჭეშმარიტი ბელადისათვის ჭკუისა, ნიჭისა და განათლებაზედ უმეტესად სხვა რამეს ჰქონდა მნიშვნელობა. ის არ ყოფილა წარმომადგენელი რომელიმე მხატვრული მიმართულებისა მწერლობაში, დოქტრინისა—საზოგადოებრივ საკითხებში და სისტემისა—პოლიტიკაში. ყველა ეს ცნებანი შედარებითია, დროული და საკამათო. მარადისობასთან მათ ხელი არა აქვთ. მარადი და ურყევია მხოლოდ რასსიული სული ერისა და ილია ჭავჭავაძის ძალა, უმჯობესობა მისი სახელისა და შარავანდედი მისის სახისა ის არის, რომ როდესაც ცხოვრება მის წინაშე საკითხების ზედაგორას აყენებდა, მას ესმოდა, რა იყო მათში მარად ქართული და რა საკაცობრიო, ან უცხო. ილია ჭავჭავაძე ამ მარად ქართულ აზრებს ქადაგებდა და მხოლოდ იმდენად სცდებოდა, რამდენადაც შეცდომა ჭკვიანი კაცის ხელში გონიერებისაგან გადახრა კი არ არის. არამედ შეფერხება ცხოვრების წინაშე, რომელიც ხშირად განუჭვრეტელი ბურუსით არის მოცული.

არ იყო დარგი, რომელშიაც ილია ჭავჭავაძეს ცოდნა არ გამოეჩინოს. მისი პოლემიკა იანოვსკისთან ცოდნისა და ნიჭიერების შედევრია. მაგრამ ის არ ივიწყებდა, რომ პედაგოგიურ საკითხებში იაკობ გოგებაშვილს მაზედ მეტი ესმოდა. მან შექმნა «განდეგილი» და «აჩრდილი». ქართული შემოქმედების პათოსი მეცხრამეტე საუკუნეში ამაზედ შორს არ წასულა. მაგრამ როცა სამწერლო ასპარეზზედ ვაჟა-ფშაველა გამოვიდა, პირველობა მას გადაულოცა და წერაზედ ხელი აიღო. გრიგოლ ორბელიანი თითონ ჩამოაგდო იმ ტახტიდგან, რომელზედაც ეს პარნასელი ასეთის განცხრომით იჯდა, მაგრამ როდესაც ეს ყოფილი ღმერთი მოკვდა, ილია ჭავჭავაძემ პირველმა დაიჩოქა მის კუბოსთან და საქართველოც დააჩოქა.

როდესაც გაბრიელ ეპისკოპოსს მარხავდნენ, ილია ჭავჭავაძემ ისევ პირველმა მოიყარა მუხლი ამ წმინდა საფლავის წინაშე და ამითი გვიჩვენა, რომ აზრები, გამოთქმული «განდეგილში» ცხოვრებაში პრაქტიკულად უნდა არსებობდეს.

თქვენ ხედავთ ახლა, რა თავმდაბალი და რა სამართლიანი იყო ეს პირველი ქართველი, როგორ არიგებდა ამ პირველობას სხვებზედ, მაგრამ თითქოს ჩუმის თანხმობით, არც ცოცხალს ვისმეს ჩამოურთმევია მისთვის ეს პირველობა, არც მით უმეტეს იკვდარს და საქართველოს ისევ მასთან მიჰქონდა იგი. ამაში გამოიხატა სალი ინსტიქტი თვით ქართველი ხალხისა. ეს ურთიერთობა ქართველი ხალხისა და ილია ჭავჭავაძისა იშვიათი მაგალითია ბელადისა და ხალხისა, როცა არც ბელადი ატყუებდა თავის ამყოლებს, არც ხალხი მლიქვნელობდა მისი ავტორიტეტის წინაშე. ქართველი ხალხი მასში თავისი საუკეთესო აზრების გამომხატველს ხედავდა. ჩვენ უკვე ვნახეთ რა აზრები იყვნენ ეს აზრები. დაუმატებთ მხოლოდ, რომ ილია ჭავჭავაძემ იცოდა ყველაფერი, რაც კი ხელმისაწვდომი იყო მაშინდელი განათლებული ქართველისათვის, დიდი თაყვანის მცემელი იყო ევროპის კულტურისა და პროგრესისა, მაგრამ ყოველივე ამას, მის ხელში, იმ საპონის მნიშვნელობა ჰქონდა, რომლითაც მას ქართული ურმის ღერძი უნდა გაესაპნა. ცხოვრებამ გაამართლა მისი ასეთი შეხედულობა კაცობრიობაზედ და ერზედ. დღეს ქართველობა იმავე ამოცანების და იმავე საქართველოს საკითხის წინაშე სდგას, როგორც ილიას დროს, მაგრამ უფრო ჭირნახული და უფრო გამოცდილი.

შ. ამირეჯიბი.

*Imprimerie « La Gazette de S.-et-O. » — Arpajon*